შ.პ.ს. "კონსტრუქტი"



ს ა პ ე ძ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისი, დიღომი, ს/კ 01.72.14.036.171,
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის
კონსტრუქციულ ნაწილზე

თბილისი 2016

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, დიღომი, ს/კ 01.72.14.036.171, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

წინა პირობები:

საპროექტო შენობა მდებარეობს დიდ დიღომში, რომელიც ადმინისტრაციულად მიეკუთვნება ვაკე-საბურთალოს რაიონს.

შპს „Alliance Georgia"-ს დაკვეთით ჩვენს მიერ დასადგენია საპროექტო მუშა დოკუმენტაციის კონსტრუქციული გადაწყვეტების და გაანგარიშებების მართებულობა, როგორც სამშენებლო საქმიანობის განხორციელების მიზნით, ასევე შენობის კონსტრუქციული ელემენტების მდგრადობის და მედეგობის გრძელვადიანი ექსპლუატაციის პერსპექტივით.

დამკვეთის მიერ წარმოდგენილი საპროექტო მასალები:

1. ი.ს. "მშენგეო"-ს მიერ 2013 წელს შესრულებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის დასკვნებიდან გამომდინარე, საძირკვლების ფუძედ მიღებულია მყარპლასტიკური კონსისტენციის დია ყავისფერი თიხნარები: φ 16°; c 30კპა; E=18 მპა;
2. შპს „Alliance Georgia"-ს მიერ შესრულებული შენობის არქიტექტურული პროექტის ელექტრონული ვერსია;
3. კონსტრუქტორთა ჯგუფის მიერ "მონომახ 4.5" პროგრამული კომპლექსის გამოყენებით შედგენილი შენობის მოდელირების ფაილი;
4. „Alliance Georgia"-ს მიერ შესრულებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილის მუშა დოკუმენტაციის ელექტრონული (pdf) ვერსია;

ზოგადი:

საპროექტო ერთადარბაზიანი შენობა 11 სართულიანია, გეგმაში გაბარიტული ზომებით 33X15 მ.

სამშენებლო უბნისთვის ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა W₀–0.85 კპა; თოვლის საფარის წონა - 0.50 კპა.

შენობისთვის საძირკვლების ფუძედ მიღებულია მკარჩლასტიკური კონსისტენციის ღია ყავისფერი თიხნარები: φ=16°; c=30 კპა; E=18 მპა; საძირკვლებად მიღებულია 80 სმ სისქის მონოლითური რკინაბეტონის ფილა.

შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის სვეტების (700X400, 400X400), დიაფრაგმების (b=200), კოჭების (400X550h, 200X550h) და გადახურვის ფილების (h=180) კარკასულ-კავშირებიანი სივრცული სისტემით.

მზიდი კონსტრუქციებისთვის ბეტონის კლასი მიღებულია B25; სამშენებლო არმატურის საპროექტო კლასები - AIII და AI.

ფუძე-საძირკვლების და კარკასულ-კავშირებიანი სისტემის ერთობლივი სივრცული მოდელირება განხორციელებულია "მონომახ 4.5" პროგრამული კომპლექსის გამოყენებით, სტანდარტული სპექტრული მეთოდით. გაანგარიშებები შესრულებულია დატვირთვების თანწყობებზე 8 ბალიანი მიწისძვრის გათვალისწინებით.

ნახაზების სახით წარმოდგენილი კონსტრუქციული ნაწილის მუშა დოკუმენტაციის მხატვნელობითი ნაწილი, ასევე კომპიუტერული მოდელირება-გაანგარიშებები შესრულებულია პროფესიულ დონეზე.

ამავე დროს ვთვლით, რომ საჭიროა გათვალისწინებულ იქნას ჩვენს მიერ დაფიქსირებული შენიშვნა-ხარვეზები, ან მოხდეს შესაბამისი დახაბუთება.

შენიშვნები:

1. საძირკვლის ფილის გაბარიტული ზომები დასაკორექტებელია. კერძოდ, ჯოხისლურად დასაგრძელებელია ჩრდილოეთის და სამხრეთის მიმართულებით (მომიჯნავე შენობაზე გავლენის აღმოსაფხვრელად)
2. 0.00 გადახურვისთვის ჯალიბების მოწყობა და შემდგომი დემონტაჟი პრობლემურად მიგვაჩნია.
3. მონოლითური რკინაბეტონის სვეტების გრძივი მუშა არმირების პირგადაღებით შეპირაპირების ვერსიისთვის რეკომენდებულია კვანძის დეტალური დამუშავება, გადაღუნვების გეომეტრიის გათვალისწინებით.
4. არ არის მონაცემები შემავსებლის (ტიხრების და კედლების წყობა) მოწყობის შესახებ.

დასკვნა:

აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინების შემდეგ პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს რეკომენდაცია ეძლევა რეალიზაციისთვის.

ექსპერტი ინჟინერ-კონსტრუქტორი,
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი
შპს „კონსტუდიო"-ს დირექტორი ალიშერ წიწერია

თბილისი 06-2016

პასუხი საექსპერტო დასკვნაზე

ქ. თბილისი, დილომი, ს/კ 01.72.14.036.171, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

შენიშვნები და რეკომენდაციები გათვალისწინებული და მილებულია. კონსტრუქციული ნაწილის საპროექტო ჟურნალში შეტანილია შესაბამისი ცვლილებები.

კონსტრუქტორები ლ. ჯაიანი

ა. არჩილია

თბილისი 06/2016



ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი: 702896

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B14003863

ამონაწერის მომზადების თარიღი: 16/01/2014 16:11:33

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს კონსტუდიო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, დიდი დიღომი, ი.პეტრიწის ქ., N 12, ბ. 46
საიდენტიფიკაციო კოდი:	404898303
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი:	18/05/2011
მარეგისტრირებელი ორგანო:	საჯარო რეესტრი
საგადასახადო ინსპექცია:	თბილისის რეგ.ცენტრი ვაკე-საბურთალოს გ-ბა

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 01025003946, ედიშერ წოწერია,
  დირექტორი, ,

პარტნიორები

მფლობელი	წილი	წილის მმართველი
01025003946, ედიშერ წოწერია,	70.00000000%	
01025012148, ლიანა გარუჩავა,	30.00000000%	

ვალდებულება

გირავნობა